

**კლიენტის დავალებით
სახაზინო ვალდებულებებითა და სახაზინო ობლიგაციებით
ოპერაციების წარმოების პირობები**

1. ბანკი, სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ბაზარზე კლიენტის დავალებით მონაწილეობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=611>) და ბანკში დადგენილი ტარიფების (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://bankofgeorgia.ge/retail/ge/other-services/fees>) შესაბამისად.
2. პირველად ბაზარზე სახაზინო ვალდებულებებს/ობლიგაციებს ყიდის საქართველოს ეროვნული ბანკი აუქციონის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს;
3. აუქციონზე წარდგენილი განაცხადები შესაძლებელია იყოს კონკურენტული (კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით) ან არაკონკურენტული (კმაყოფილდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით).
4. კლიენტის დავალებით სახაზინო ვალდებულებებთან/ობლიგაციებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება ხორციელდება ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://bankofgeorgia.ge/ge/service/custody/bonds>) საფუძველზე.
5. კლიენტმა გენერალური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა მიმართოს პირად ბანკირს ან ბანკის სტანდარტული/სოლო სერვისცენტრის ოპერატორს.
6. გენერალური ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშების არარსებობის შემთხვევაში მასთან გაფორმდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორებისა და შენახვის ხელშეკრულება (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://bankofgeorgia.ge/ge/service/custody/bonds>) და გაეხსნება ფასიანი ქაღალდების ანგარიშები.
7. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების აუქციონზე ან მეორად ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად კლიენტი წარმოადგენს განაცხადს (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://bankofgeorgia.ge/ge/service/custody/bonds>) 2 ეგზემპლარად მომსახურე სერვისცენტრში სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების აუქციონის დაწყებამდე ან მეორად ბაზარზე დავალების გატანამდე ერთი სამუშაო დღით ადრე. განაცხადში მითითებული დავალების შესასრულებლად აუცილებელი თანხები უნდა იყოს განთავსებული კლიენტის მიმდინარე

ანგარიშზე. კლიენტის მიერ განაცხადის წარმოდგენა ასევე შესაძლებელია მოხდეს ელ-ფოსტის საშუალებით ბანკირთან, რომელიც უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაციას დისტანციურ არხებში კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურების შესაბამისად.

8. კლიენტის მიერ სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ყიდვაზე განაცხადის წარმოდგენისას მის მიერ განაცხადში მითითებული ანგარიშიდან შესაბამისი თანხა გადაირიცხება საერთო საბროკერო ანგარიშზე. თანხა იანგარიშება შემდეგნაირად:
 - 8.1. კონკურენტულ განაცხადში საანგარიშსწორებო ფასით მითითებული თანხა და საკომისიო;
 - 8.2. არაკონკურენტულ განაცხადში ნომინალური ღირებულებით მითითებული თანხა და საკომისიო.
9. ვინაიდან ოპერაციის შესრულებამდე ცნობილი არ არის აუქციონზე/მეორად ბაზარზე გასული თანხის (დაკმაყოფილებული თანხის) მოცულობა, ბლოკირებული (საბროკერო ანგარიშზე გადარიცხული) თანხის მოცულობები განისაზღვრება განაცხადში მითითებული მთლიანი თანხის (ჯამური) მნიშვნელობიდან გამომდინარე.
10. მეორად ბაზარზე კლიენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის გაუქმება ხდება მის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე. გაუქმების შესახებ განცხადების წარმოდგენა ხდება მე-7 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, გაუქმების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება ბანკის მიერ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორად ბაზარზე კლიენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ არის შესრულებული.
11. მეორად ბაზარზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესახებ ინფორმაცია ელ-ფოსტის მეშვეობით მიეწოდება კლიენტს. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი გასცემს ამონაწერს მის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ.
12. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების კუპონის გადახდის თარიღებში და/ან დაფარვის ვადის დადგომისას საქართველოს ეროვნული ბანკის აუქციონის კომიტეტის მიერ ჩარიცხული თანხები მიიმართება დანიშნულებისამებრ თითოეული კლიენტის ჭრილში ფასიანი ქაღალდების მფლობელობის შესაბამისად.
13. მეორად ბაზარზე კლიენტის დავალებით სახაზინო ვალდებულებების ყიდვა/გაყიდვა/გასხვისება/დაგირავება/ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტების დაცვით და აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

სს „საქართველოს ბანკი“